საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეტაშვილი გელა გიორგის ძე

კეტაშვილი გელა გიორგის ძე (დ. 27. IX. 1965, თბილისი), სპორტსმენი, ფეხბურთელი (მცველი). ოლიმპიური ჩემპიონი (1988, სეული). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1989). თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში" (1983), თბილისის „დინამოში" (1984–90; 1995), ლანჩხუთის „გურიაში" (1991), „თეთრ არწივში" (1993–94). სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 164 მატჩი (4 გოლი), სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში – 11 (1986–88), სსრკ ნაკრებში – 3 მატჩი (1989). თბილისის „დინამოს" კაპიტანი (1989). საქართვ. ნაკრებში ჩაატარა ერთი შეხვედრა (1990). ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ქართულ ფეხბურთში.